საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-606

10/07/2020

ქ. თბილისი

**მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. წეროვანში შპს „თუში ქოლექშნის“ ლოჯისტიკური საოფისე ცენტრის და სასაწყობე მეურნეობის (ურბანული განვითარების პროექტი) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს, მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. წეროვანში ლოჯისტიკური საოფისე ცენტრის და სასაწყობე მეურნეობის (ურბანული განვითარების პროექტი) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა №62 (09.07.2020);
2. შპს „თუში ქოლექშნ“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №62 (09.07.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „თუში ქოლექშნს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „თუში ქოლექშნის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი